პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 251 (11557) | სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის მიწვევით 19-25 ოქტომბერს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და აქ გაატარა თავისი ხანმოკლე დასვენება.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ჰქონდა შეხვედრები და საუბრები, რომლებიც განსაკუთრებით გულთბილ, გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა რუმინეთის მთელი რიგი ღირსშესანიშნაობანი. მოგზაურობის დროს მას ახლდნენ: რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი გ. გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი კიმუ სტოიკა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი იონ გეორგე მაურერი და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხანაგი ა. ა. ეპიშევი.

24 ოქტომბერს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა ვახშამი გამართეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. ვახშამზე [illegible] რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, [illegible] ლიკის მთავრობის, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრები და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. ეპიშევი.

ვახშმის დროს ნ. ს. ხრუშჩოვსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი. ამხანაგმა გ. გეორგიუ-დეჟმა და ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

25 ოქტომბერს ნ. ს. ხრუშჩოვი ბუქარესტიდან გამოემგზავრა და იმავე დღეს ჩამოვიდა მოსკოვში. (საკდესი).

ახალგაზრდობავ, მოაწყე ლაშქრობა ცოდნის დაუფლებისათვის!

„პრავდის“ 26 ოქტომბრის მოწინავე

შვიდწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების გმირულ დღეებში საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე დაისახა კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობა შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოსავლენებლად. სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებში პარტიამ მოუწოდა თავის მებრძოლ თანაშემწეს — კომკავშირს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა გამოეხმაურა პარტიის ამ მოწოდებას და ყოველდღე სასახელო საქმეებს ასრულებს წარმოების ტექნიკურ სრულყოფასა და ხელოსნურ აღშენებაში. კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებს ესმით, რომ ახალი ტექნიკა მოითხოვს ფრმა ცოდნას. მათ ახსოვთ ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები: ყველა, ვისაც თავი კომუნისტად მიაჩნია, ნათლად უნდა ითვალისწინებდეს, რომ მხოლოდ თანამედროვე განათლების საფუძველზე შეუძლია მას დაეხმაროს პარტიას აშენოს კომუნიზმი. ჩვენი ქვეყნის კომკავშირულ ორგანიზაციებში დიდი ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური ცოდნის, საქმიანი კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად.

ლენინგრადში კომკავშირის ოახლოესი დახმარებით ახალგაზრდა მუშებმა შეადგინეს და წარმატებით ახორციელებენ შრომის ნაყოფიერების გადიდების ბრიად კომპლექსურ გეგმებს. მოსკოვის კომკავშირული ორგანიზაციები დედაქალაქის საწარმოებში და მშენებლობებზე ავრცელებენ ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ტექნოლოგის ევგენი პრონკინის თაოსობას, რომელიც ეხმარება თავისი უბნის ახალგაზრდობას დაეუფლოს ცოდნას, გაიუმჯობესოს პროფესიული ოსტატობა, აიმაღლოს კვალიფიკაცია. მაგნიტოგორსკის კომკავშირელებმა იმას მიაღწიეს, რომ ახალგაზრდა მუშების უმრავლესობა სწავლობს საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

ახლა ძალზე დიდია ცოდნისადმი ლტოლვა სოფლის ახალგაზრდობაში. ბევრი ახალგაზრდა მეერთვრე, მეცხოველე, მექანიზატორი სწავლობს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებსა და ინსტიტუტებში, საღამოს კურსებზე, მოწინავე გამოცდილების სახალხო უნივერსიტეტებში.

საქმის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ახალგაზრდობის მოძრაობა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დაუფლებისათვის კიდევ უფრო მასობრივი გახდეს, რომ მასში მონაწილეობა მიიღოს ყოველმა ახალგაზრდა მშრომელმა. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა კომკავშირული ორგანიზაცია როდი გამხდარა ამ შეანიშნავი მოძრაობის უნარიანი, ებრძოლი წინამძღოლი. სრულიად საკავშირო ალკკ ზოგიერთმა კომიტეტმა და კომკავშირულმა მუშაკმა ვერ გაიგო სახალხო განათლების გარდაქმნის დიდესი მნიშვნელობა, ჯეროვნად ვერ აფასებს საღამოს და დაუსწრებელ სწავლებას, როგორც ომუშავე ახალგაზრდობის განათლების ძირითად ფორმას. ნაწილი ალიშვილებისა და ჭაბუკებისა, რომლებსაც შვიდწლიანი და საშუალო განათლება არა აქვთ, სკოლის გარეთ რჩება. ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკური განათლების სერიოზულ ნაკლოვანებებში დიდი დანაშაული მიუძღვით კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც ზოგჯერ გულგრილობას იჩენენ იმ ახალგაზრდა მუშების მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი, რომლებიც ათავსებენ შრომასა და სწავლას.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში დამთავრებული პლენუმის გადაწყვეტილებით კომკავშირმა დაიწყო სრულიად საკავშირო ლაშქრობა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. პლენუმმა განსაზღვრა ამ ლაშქრობის მთავარი მიმართულებანი. კომკავშირმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ყოველი ღონისძიებით უნდა შეუწყოს ხელი საღამოს (ცვლების) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას; დაეხმაროს ახალგაზრდობას მიემზადოს საღამოს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შესასვლელად; შექმნას მოსამზადებელი კურსები და წრეები, მიაღწიოს საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ფილიალების, განყოფილებების, საკონსულტაციო პუნქტების გახსნას საწარმოებსა და სოფელ ადგილებში; ჩაუნერგოს ახალგაზრდობას მისწრაფება ცოდნის დამოუკიდებლად ამაღლებისადმი, გამოუმუშაოს მას ამისათვის საჭირო ჩვევები; უფრო აქტიური დახმარება გაუწიოს ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს სწავლების, საწარმოო პრაქტიკის ხარისხის ამაღლებაში, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში; გააუმჯობესოს მუშაობა ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკური სწავლების საქმეში.

დაე ყოველმა ქალიშვილმა და ყოველმა ჭაბუკმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ლაშქრობაში და ბეჯითად დაეუფლოს უახლეს ტექნიკასა და თანამედროვე ცოდნას, დაუცხრომლად გაადიდოს ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერება.

შესანიშნავი, გაბედული საქმეებით აღსავსეა კომკავშირის, მთელი ახალგაზრდობის ბრძოლა შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ცოდნის დაუფლებისათვის, რომელიც ესაჭიროებათ კომუნიზმის მშენებლებს. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ ყოველ ახალგაზრდა პატრიოტს განსაზღვროს თავისი ზღუდე სწავლაში, თავისი ადგილი ტექნიკური პროგრესისათვის საერთო ბრძოლაში. დაე გამრავლდეს მომავლის მზვერავთა—კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობის მონაწილეთა რიგები. დაე იმ კომკავშირული ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებმაც ჩინებულად მოაწყეს ახალგაზრდობის სწავლება, გახდეს მთელი ყომკავშირის კუთვნილება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უაღრესად აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ ახალგაზრდობას მისი სწავლისა და განათლების საუკეთესოდ დაყენებაში. პარტიული ორგანოების უაღრესად აქტიური დახმარებით კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ახალგაზრდა მუშების ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების პერსპექტიული გეგმები, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს კანონი „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ახლავე უნდა ვიზრუნოთ, რომ საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა ფორმაში მთლიანად ჩავაბათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ განაგრძობენ განათლებას.

ვალენტინა გაგანოვას მაგალითისამებრ ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე გადადის ჩამორჩენილ უბნებზე, აწყობს იქ პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებას და მუშათა ცოდნის ამაღლებით აღწევს საწარმოო აღმავლობას. პარტიული და კომკავშირული კომიტეტები მოწოდებული არიან დაეხმარონ მათ ამ კეთილშობილურ საქმეში.

ეჭვი არ არის, რომ პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი საუცხოო ახალგაზრდობა, ლენინის ანდერძის ერთგული, დაუცხრომლად დაეუფლება ცოდნას და ღირსეულ წვლილს შეიტანს საბჭოთა ხალხის ბრძოლაში სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესისათვის, კომუნიზმის მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის.

მოაწყეთ ლაშქრობა ცოდნის დაუფლებისათვის, ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებო!

მიიღე სამშოგლოვ, საოქტომბრო საჩუქრები!

★

„გადაამუშავეს“ ასოგით გემი

ბათუმი. (საკ. კორ.). ნავსადგურის მუშები და მექანიზატორები ენერგიულად შრომობენ, რათა სასახელოდ გაანაღდონ საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებები. ჯერ კიდევ 8 ოქტომბრისათვის შეასრულეს ტვირთბრუნვის ათი თვის დავალება.

შვიდწლედის პირველი წლის განვლილ პერიოდში ნავსადგურმა მიიღო და მეტწილად ჩქაროსნული მეთოდით გადაამუშავა ასობით გემი. ამასთან დაზოგილია 950-ზე მეტი გემსაათი და დიდძალი ელექტროენერგია.

ნავსადგურში ახალი ძალით გაჩაღდა შრომა საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავის შესახვედრად.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს. სურათზე

ხალისით აწყობენ

მაღალი შრომითი მაჩვენებლებით აღვნიშნოთ ყოველი დღე, მივცეთ სამშობლოს მეტი ახალი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია — ამ მოწოდებით იბრძვიან საქართველოს მრეწველობის მუშაკები ჩვენი დიადი ქვეყნის შემდგომი აყვავების გრანდიოზული პროგრამის — შვიდწლიანი გეგმის ვადამდე წარმატებით განხორციელებისათვის. ყველგან — ფაბრიკასა თუ ქარხანაში, საამქროსა თუ ბრიგადაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება.

თქვენ ხედავთ თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ მოწინავე ახალგაზრდა ამწყობ ზეინკლებს თ. კუპავასა (მარჯვნივ) და ბ. ანასტასოვს. ისინი ხალისით აწყობენ საწარმოს მიერ ახლახან ათვისებულ ელექტროგანათების ფარებს, რომელთა პირველი პარტია ქარხნის კოლექტივმა ამას წინათ გაუგზავნა ვილნიუსისა და დნეპროპეტროვსკის საწარმოებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

25 დღით ადრე

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც ფართოდ ჩაბმული არიან წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, 25 დღით ადრე შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა. ამასთან შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 2 მილიონ 500 ათასი მანეთი.

სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს ახალი წარმატებები მოიპოვონ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის შესახვედრად, გეგმის გადამეტებით გამოუშვან მილიონობით მანეთის პროდუქცია.

მომავალი წლის ანგარიშში

თელავი. (საკ. კორ.). „წობის გორა“ თოვლმა დაფარა, მაგრამ ქვისტერეველთა მუშაობა არ შეუჩერებიათ. კომბრესორები და სხვა მძლავრი მექანიზმები ავტომატურად მძლავრად გუგუნებენ. შარშან 876 კუბმეტრი მარმარილო გამოზიდეს, წელს კი მხოლოდ ცხრა თვეში — 940 კუბმეტრი. მოწინავე ბრიგადები უკვე მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

ფიქალ-მარმარილოს კომბინატმა (დირექტორი ალ. ვარდოშვილი) სხვა პროდუქციაც გამოუშვა გეგმის გადამეტებით.

საქართველოს მრეწველობამ შეასრულა 10 თვის გეგმა

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, გაჩაღეს რა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე, 25 ოქტომბერს შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების 10 თვის გეგმა. გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა მეტალურგიულმა მრეწველობამ, მანქანათმშენებლობამ, საშენ მასალათა მრეწველობამ, საფეიქრო, მსუბუქმა, ჩაის, მეღვინეობის მრეწველობამ.

გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონე გადაჭარბებულია, დაახლოებით, 10 პროცენტით. თვის დამლევამდე გამოშვებულ იქნება ასობით მილიონი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით. (საკდესი).

მეგობრობის საზოგადოება

შეიქმნა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ღრმა სიმპათიითა და პატივისცემით ეპყრობიან მოძმე პოლონელ ხალხს, რომელიც აშენებს ახალ, ბედნიერ ცხოვრებას. ამ მზარდი მეგობრობის ახალი გამოვლინება იყო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების შექმნა. ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მიეძღვნა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც გუშინ გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. ესწრებოდნენ სტუმრები — პოლონური კულტურის კვირეულის მონაწილეები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ქოჩორაძემ. მან მოხსენებისათვის სიტყვა მისცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ე. ხარაძეს.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი **ი. ცინცაძე** ლაპარაკობს პოლონელი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე.

გამოდის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვარშავის განყოფილების თავმჯდომარე **ა. კლეშჩიტკი.** — ამ საზეიმო მომენტში, აბობს იგი, ძმურ სალამს ვუძღვნი მთელ ქართველ ხალხს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მრავალი მილიონი წევრისაგან, ვარშაველებისა და ყველა პოლონელ მშრომელთაგან.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე **გ. ფოფხაძე,** პოეტი-აკადემიკოსი **გ. ლეონიძე,** სტალინის სახელობის ამერიკანისტიკის მეტალურგიული ქარხნის მუშა **ი. დათუაშვილი** და სხვები.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სტუმრების — პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის პრეზიდიუმის წევრის **ს. დობროვოლსკის,** პროფესორ **გ. შლეტინსკის,** პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების მინისტრის მოადგილის **კ. რუსინეკის** გამოსვლას.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — შეიქმნას საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება.

* * *

გაიმართა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის პირველი სხდომა. განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ე. ხარაძე,** მის მოადგილეებად — პოეტი **ს. ჩიქოვანი** და პროფესორი **ი. ცინცაძე.** (საკდესი).

ზეიმი სულხან-საბას სამშობლოში

25 ოქტომბერს ბოლნისის რაიონის მშრომელებმა იზეიმეს თავიანთი თანამემამულის, დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერის, განმანათლებლის, გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი.

საზეიმოდ არის მორთული სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი ტანძია. აქ ჩამოვიდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების ათასობით მშრომელი.

მშრომელთა მიტინგი გახსნა ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მამედოვმა.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი კრიტიკოსი ს. ჭილაია, სოფელ ტანძიის კოლმეურნე დ. დევნოზაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პოეტი გ. ლეონიძე, ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. კიკოლაშვილი, ღმანისის რაიონის მშრომელთა სახელით—ბ. კარალოვი, ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე რ. ჩიქვილაძე, თბილისის პიონერთა სასახლის პიონერთა სახელით — ნ. ჩაჩანიძე.

* * *

ამავე დღეს ბოლნისის რაიონულ ცენტრში სულხან-საბა ორბელიანის ძეგლისა და მწერლის სახელობის კულტურის სახლის გახსნის აღსანიშნავად გაიმართა მშრომელთა დიდი მიტინგი.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ქუტიძემ.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი კრიტიკოსი ბ. ეღენტი, პროფესორი გ. თაქაიშვილი, დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე დ. როსნაძე, ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ლ. კუხალეიშვილი, მწერალი რ. ჯაფარიძე.

ძეგლს ჩამოხსნეს საბურველი და შეკრებილთა თვალწინ წარმოდგა სულხან-საბა ორბელიანის ქანდაკება, რომელიც გამოსახავს საკარაქელში მჯდომ მწერალს. ქანდაკების ავტორია მოქანდაკე ტ. სიხარულიძე, კვარცხლბეკის ავტორი — არქიტექტორი ნ. ლასარეიშვილი.

ბოლნისში საიუბილეო ზეიმზე იყო პოლონელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც 25 ოქტომბერს ჩამოვიდა საქართველოში. (საკდესი).

* * *

სურათებზე: ზემოთ—სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი ბოლნისში; ქვემოთ — მიტინგი სოფელ ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის ბიუსტთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო,

ჩვენი საკუთარი სახელით და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სახელით უაღრესად გულწრფელ მადლობას გიძღვნით თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს გულითადი მოლოცვისათვის, რომელიც გამოგვიგზავნეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების მეათე წლისთავის გამო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, რომელნიც აღიარებენ, თუ რა ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს უანგარო ძმურ დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაუწია გერმანიის პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, აგრეთვე საბჭოთა ადამიანებს მადიდარ გამოცდილებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობისათვის, გერმანიის პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს არსებობის მეორე ათწლედს იწყებენ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაწყვეტით. მუშები და გლეხები, აგრეთვე შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელნიც გამსჭვალული არიან სიამაყითა და ოპტიმიზმით, შრომობენ ამ გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით წარმატებითი შესრულებისათვის, რადგან მათ იციან, რომ ეს იქნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი წვლილი მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების, ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრების დროს სოციალიზმის გამარჯვების საქმეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი უდიდესი აღტაცებითა და პატივისცემით უყურებენ საბჭოთა ადამიანების კოლოსალურ მიღწევებს. საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები გრანდიოზულ საქმეებს აკეთებენ, რომლებიც აიძულებენ მთელ კაცობრობას განაბოს სული, გრანდიოზულ საქმეებს, როგორიც არის, მაგალითად, მეორე კოსმოსური რაკეტის გაშვება მთვარეზე, მესამე კოსმოსური რაკეტის გაშვება და ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის შექმნა, რომელმაც შემოუარა მთვარეს. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ თვალსაჩინო მიღწევებმა, აგრეთვე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის შვიდწლიანი გეგმის პირველი წლის გეგმების წარმატებით შესრულებამ კვლავ დამაჯერებლად დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით.

გერმანელი ხალხის ეროვნული სასიცოცხლო საკითხის გადაჭრისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირი ყოველთვის გვევლინებოდა გერმანელი ხალხის ერთგულ მოკავშირედ. საბჭოთა წინადადებებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სამშვიდობო მისიას ამერიკის შეერთებულ შტატებში და ისტორიულ წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ დიდი კმაყოფილებით შეხვდა ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი. ყოველივე ეს გამოხატავს ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებულ ნამდვილად ძმურ ურთიერთობას, რომელიც ვითარდება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს ახალ დიდ წარმატებებს კომუნიზმის ეაშლილ მშენებლობასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის სამარადისო ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნების ძმურ ერთიანობასა და ურღვევ შეკავშირებას, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი!

ვილჰელმ პიკი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი

ვალტერ ულბრიხტი,
გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ოტო გროტეოლი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ბერლინი, 1959 წლის 23 ოქტომბერი.

მშენებელთა წარმატება

ბიათურა. (საკ. კორ.). ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ მაღაროთა მშენებლები. საქმართველოს კოლექტივმა ოქტომბრის პირველ ნახევარში შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ათი თვის დავალება.

მშენებელთა კოლექტივი იბრძვის, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულოს თერთმეტი თვის გეგმა.

სიტყვა გულში რომ გვწვდებოდეს...

იყო პროპაგანდისტი— საპატიო და საამაყოა

პროპაგანდისტული მუშაობის ცხრა წლის გამოცდილებამ ამაღლებინა ხელში კალამი, რათა ჩემს კოლეგებს გავუზიარო ჩემი ფიქრები და გრძნობები.

ჩვენ სასწაულმოქმედ დროში ვცხოვრობთ. ახლა სირცხვილია საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ცივრო მიდგომა. პროპაგანდისტი ეწინარეს ყოველისა პარტიული მუშაკია. ის კომუნიზმისათვის გულანთებული მებრძოლია. მან უნდა იმოქნოს ადამიანებთან კავშირის გზები, აღძრას ინტერესი თავდადებული მუშაობისათვის.

პროპაგანდისტობა ნიშნავს იყო თავისებური მედოქმედი. თეორიული ცოდნა განიმტკიცო ცხოვრებით. პრაქტიკა დაუკავშირო თეორიას. შემოქმედი პროპაგანდისტი საქმეში აქსოს თავის სულს, მთელ თავის ღიმაფრენას.

მე, მაგალითად, პროპაგანდა ყოველთვის კონკრეტულად წარმომიდგენია. იგი ემორჩილება იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, ასახავს დიად შვიდწლედს. შეიძლება ითქვას: რომ პროპაგანდა — ეს არის ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, რას ნიშნავს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა? ეს ნიშნავს მოკუფწოდთ ჩვენს თავს: მიგცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება მაღალი ხარისხის პროდუქცია.

თუ ვლაპარაკობთ კომუნიზმის მშენებლობაზე, მაგრამ კრინტს არ დავძრავთ პროდუქციის ხარისხზე ან 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიღებული პროდუქციის რაოდენობაზე, ეს ალბათ წყლის ნაყვა იქნება. პროპაგანდისტმა მსმენელებში, ხოლო მსმენელებმა მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებში უნდა აღზარდონ დიდი გრძნობა — საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი მოპყრობის გრძნობა. სწორედ ეს არის ადამიანებში კომუნისტური თვისებების აღზრდა. საზოგადოებრივი ქონების გაფრთხილება, მისი დაცვა დიდი საქმეა. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ვ. ი. ლენინის მითითება: „წესიერად და კეთილსინდისიერად აწარმოე ფულის აღგარში, ხელმომჭირნეო გაიძახ საქმეს, ნუ იზარმაცებ, ნუ იქურდებ, დაიცავი შრომის უსასტიკესი დისციპლინა“.

* * *

ფართოდ იმიტომ შევჩერდი ამ საკითხებზე, რომ მუშაობა მიხდება ამ ამხანაგებთან, რომლებიც სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკას სწავლობენ. მე მესმის, რომ მსმენელები უნდა დავინტერესო, მათ უნდა დავეუფლო. უთუოდ სწორი ნათქვამია, რომ აუდიტორია ყველაზე მგრძნობიარე ბარომეტრია. და განა შეიძლება, რომ თეორიის სიღრმეში ღრმად შევიჭრა და აუდიტორიას არ მოვაგონო ჩვენი საბჭოთა მეურნეობა?

იგი გადაჭიმულია თამარაშენიდან გუჯაბაურამდე, აქედან კი ტბეთამდე და სულ 2.500 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მარტო სახნავ-სათესი 900 ჰექტარია. ჩვენი მთავარი დარგებია: მარცვლეულის მეურნეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა. და ამას თავს დასტრიალებს 500-მდე მუშა-მოსამსახურე.

სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკას გულმოდგინედ სწავლობს 21 კაცი. მათგან სამი უპარტიო ამხანაგია. კარგად ვიცი, რომელ მსმენელს როგორი მოშმაღება აქვს. პირველი მეცადინეობა რომ ჩავატარე, მათ ვუთხარი:

— მე ყოველთვის არ გესაუბრებით. ყველამ მოვამზადოთ განსაზღვრული თემა. ერთ-ერთმა ილაპარაკოს, შემდეგ სხვებმა შევავსოთ.

— რატომ? — მკითხა ერთმა.

— იმიტომ, რომ საუბრები ცოცხალი, ღრმაბოროვანი, რაც შეიძლება საინტერესო იყოს.

ამაზე ყველა დამთანხმდა. მსმენელი გ. ტატაური ამზადებს თემას „სასოფლო-სამეურნეო დარგების სპეციალიზაცია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“, პ. ბოკუჩავა — „საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო არტელის მართვა“, გ. გახელაძე — „საბჭოთა მეურნეობის ფინანსები, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი“, ხოლო მე ვამზადებ თემას — „საბჭოთა მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება და წარმოების რენტაბელობა, სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაცია“.

როგორც ვხედავთ, ყოველ თემას ავტორი პყავს. მაგრამ მკაცრად ვიცავთ შეთანხმებას — მოცემულ თემას გულმოდგინედ ამზადებს ყველა მსმენელი და პროპაგანდისტი. ამ შემთხვევაში მე, როგორც პროპაგანდისტს, მეტი მოვალეობა მაკისრია: თვალყურს ვადევნებ თემის მომზადების პროცესს, ინდივიდუალურად ვესაუბრები და ვეხმარები თვითეულს. უფრო მეტი დახმარება სჭირდებათ მსმენელებს: აგროტექნიკოს, რუზანა პაპალიშვილს, საწყობის გამგეს ვ. ძიგიოევს, ტბეთის განყოფილების ბრიგადირს ე. ჯიოევს.

ყოველი თემა დაწერილია, მაგრამ ამხანაგები გამოდიან ზეპირად, თეზისების მიხედვით, როგორც ამას მე თვითონ ვაკეთებ.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო: არასწორად იქცევა ის პროპაგანდისტი, რომელიც მხოლოდ წამკითხველის როლში გამოდის. ასეთ შემთხვევაში ის თვალს ვერ აცილებს ტექსტს, მისი მსჯელობა მშრალი, მოსაწყენი და ერთფეროვანია. ასეთი პროპაგანდისტის მოსმენა ერთგვარი ტანჯვაა. ამის გამო ზოგს კიდეცაც ჩასთვლემს. საქმე ის არის, რომ ცოცხალი სიტყვა არ შეიცავს წიგნების, ბროშურებისა და ჟურნალების ტექსტების კითხვით. ტექსტი კი არ უნდა ვიკითხოთ, არამედ ცოცხალი ენით მივიტანოთ მსმენელებამდე.

ამისათვის საჭიროა პროპაგანდისტი ივითარებდეს მეხსიერებას. მან უნდა განივითაროს ზეპირი, სასაუბრო მეტყველების უნარი. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაიქცევა მართალი სიტყვა დიდ ძალად.

თუ პროპაგანდისტს სურს ინტერესით უსმენდნენ, ის მკაცრად უნდა აღეკვეთოს თვალყურს არა მარტო მსმენელთა ზრდას, არამედ თავის თავსაც. ხომ არ ჩამოვრჩი? — აი მისი ყოველდღიური საკითხავი. იგი უნდა მუშაობდეს სიტყვაზე.

ცნობილ ფრანგ მწერალს ვიქტორ ჰიუგოს ეკუთვნის ეს სიტყვები: „კარგად ლაპარაკობს ის, ვინც მთელი დღეების, კვირეების, თვეებისა და ხანდახან მთელი სიცოცხლის მანძილზე ფიქრს ანდომებს სიტყვას, რომელიც მხოლოდ ერთ საათს გრძელდება“. ეს იმას ნიშნავს, რომ პროპაგანდისტმა თავი უნდა გაათავისუფლოს არასაჭირო სიტყვებისაგან: „ასე ვთქვათ“, „მაშასადამე“, „იმას მოგახსენებდით“, „იმდენად, რამდენადაც“... რატომ? იმიტომ, რომ გამოთქმებისადმი დაუდევრობა პროპაგანდისტს სიტყვის ძალას ასუსტებს, ხოლო აზრის სიღრმეს ვნებს. ეს რომ არ მოხდეს, მთავარია წაკითხულის გაგება, წაკითხულის გატარება გონების ცხოვრებაში და ისე მსჯელობა.

* * *

მეცადინეობის დროს პროპაგანდისტი მოუალეა ეყრდნობოდეს კოლექტივიზმის პრინციპს. კოლექტიურობა მეცადინეობის განუყოფელი ნაწილია. მისი დანერგვა წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოფაცხოვრებაშიც კი დიდნაშენლოვანია. კოლექტიურობის აღზრდაც კონკრეტული უნდა იყოს. პროპაგანდისტი მუუთითებს მუშობის მეთოდებზე, მაგალითებზე, აკეთებს ანალიზს.

თვალსაჩინოება პროპაგანდისტს ჰაერივით სჭირდება. თუ ლაპარაკია, მაგალითად, ერთ პროცენტზე, სასარგებლო იქნება ვთქვათ: საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმის ერთი პროცენტით გადამეტება — ეს 11 მილიარდი მანეთია. წელს გვაქვს 5 პროცენტი გადამეტება, ანუ წლის ბოლოსათვის დამატებით მიღებულ იქნება 55 მილიარდ მანეთი. შვიდწლედის ბოლოსათვის ერთი პროცენტი 19 მილიარდი მანეთი იქნება.

სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკას რომ სწავლობენ, მსმენელებს წინ უდგათ საქმის პრაქტიკული მხარე. პრაქტიკული საკითხები, მათი გადაჭრის გზები — დიდი საქმეა. სიტყვიერი პროპაგანდა უნდა შეავსოს საქმით პროპაგანდამ.

ეერც მე და ეერც ჩემი მსმენელები გვერდს ვერ ავუვლით იმას, რაც პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყებამდე ჩვენი მეურნეობის დირექციის მუშაობის შესახებ ითქვა პარტიის სოფლურ კომბინატის ბიუროს სხდომაზე, როცა დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი განიხილეს. ბიუროზე აღინიშნა, რომ თამარაშენის მერძეობის საბჭოთა მეურნეობამ ვერ მოაწყო ძროხების ხელოვნური დათესვლის პუნქტი, ვერ შეასრულა მეურნეობის ძროხების მთელი კონტინგენტის ხელოვნური დათესვლის დაკალება. შეუსრულებელი დარჩა მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში არსებული და ახლობელ კოლმეურნეობათა 220 ძროხის ხელოვნური დათესვლის დაკალება. შედგენილი არ არის ძროხების დაგრილების და ხელოვნური დათესვლის გეგმა. კოლმეურნეობებთან დადებული არ არის ხელშეკრულებები. ცუდად არის დაყენებული პირუტყვის სულადობის აღრიცხვა.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმის საჭიროებას, რომ პროპაგანდა უნდა გამოხატავდეს იმას, რაც ჩვენს გარშემო ხდება. მაშინ ის მუშაკებში აამაღლებს საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას.

* * *

ახლა რამდენიმე შენიშვნა იმაზე, თუ რა გვესაჭიროება ჩვენ, პროპაგანდისტებს, მსმენელებს, რომლებიც თეორიასა და პრაქტიკის ერთიანობას ვსწავლობთ.

სამართლიანად არის პრესა მიჩნეული მთავარ წყაროდ, რომლიდანაც უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ გავწიოთ პროპაგანდა. მაგრამ ჩვენი საოლქო და რესპუბლიკური პრესა მდიდარი არ არის პროპაგანდისტული მასალებით. ეკანასკნელ ხანს რატომღაც აღარ ჩანს განყოფილებები: „კომუნიზმის მშენებლობის თეორიული პრობლემები“, „საუბრები დიადი გეგმის შესახებ“. სასარგებლო იქნება ამ განყოფილებების განახლებასთან ერთად შეიქმნას ახალი განყოფილებები, თუნდაც ეაკეთები: „კომუნიზმის პრაქტიკული პრობლემები“, „საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობის გზები“, „100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და თვითღირებულების შემცირება“. გაზეთების რედაქციები კარგს იზამენ, თუ კვლავ და კვლავ დაუბრუნდებიან თემებს პროპაგანდისტის ორატორული ხელოვნების შესახებ, მეტყველების კულტურის შესახებ, აგრეთვე გამოაქვეყნებენ კონსულტაციებს იმაზე, თუ როგორ მოვამზადოთ რეფერატი, როგორ ავაგოთ ლექცია, როგორ შევადგინოთ კონსპექტი და სხვ.

პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების გაზიარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ საქმეს საკმაო ყურადღება არ ექცევა. დროდადრო რომ წავსულიყავით მოწინავე კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოში, სადაც მატერიალური დოვლათი იქმნება, გულთათვად გვესაუბრა ნოვატორებთან, შვიდწლედის ადამიანებთან, მაშინ პროპაგანდისტსა და მსმენელის გონება ერთბაშად გამდიდრდებოდა იმით, რაც პრაქტიკულ ცხოვრებაში გვჭირდება. პროპაგანდისტთა და მსმენელთა ექსკურსიების მოწყობაზე სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ პარტიული კომიტეტები.

* * *

პროპაგანდისტს იდეოლოგიურ მუშაობაში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს. მისი ეალია მსმენელებს გაუფართოოს ცოდნის ჰორიზონტი, განუვითაროს საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი გრძნობა, მოაგონოს ხალხის ინტერესებისათვის ზრუნვა, ჩაუნერგოს სიმართლე და პატიოსნება.

იგი მოვალეა ბეჯითად მუშაობდეს თემების იდეურ და მეცნიერულ შინაარსზე, თეორიული დებულებების პრაქტიკაში გამოყენებაზე, მასებში კომუნისტური პარტიის მართალი სიტყვის შეტანაზე. პროპაგანდისტის ოსტატობა შეძენის საქმეა. სწორედ ოსტატობაშია სიტყვის სიძლიერე და აზრის სიღრმე.

გ. ახვლედიანი.

პროპაგანდისტი, თამარაშენის მერძეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

სტალინირის რაიონი.

* * *

სურათზე: გ. ახვლედიანი.
ფოტო ვ. უბოფენკოსი.

ყური დავუგდოთ მასების ხმას

ანგარიშები და არჩევნები პროფკავშირულ ორგანიზაციებში

საბჭოთა ადამიანები მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას ახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებას. ამ პროგრამის განხორციელებაში დიდია წელილი პროფკავშირული ორგანიზაციებისა, რომელთა ანგარიშგება და არჩევნები ოქტომბერსა და ნოემბერში ჩატარდება.

პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, რესპუბლიკურმა, საქალაქო, რაიონულმა, საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ყველა რგოლში და ანგარიშგება-არჩევნები ჩაატარონ როგორც უმნიშვნელოვანესი მასობრივ-პოლიტიკური კამპანია. საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა ხელი უნდა შეუწყონ მთელი პროფკავშირული მუშაობის გაძლიერებას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პროფკავშირების როლის კიდევ უფრო ამაღლებას.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც ორ წელიწადს მოიცავს, პროფკავშირების ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენები მოხდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმმა, რომელმაც პროფკავშირების მუშაობის საკითხი განიხილა, უფრო განამტკიცა პროფკავშირების როლი სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებულია დებულება „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ“. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფკავშირთა საკავშირო საბჭომ დაამტკიცეს დებულება მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის შესახებ.

ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია სწორად ახორციელებს მშრომელთა წარმომადგენლობას შრომის, ყოფაცხოვრებისა და კულტურის ყველა საკითხის სრულად იყენებს მინიჭებულ უფლებებს, ფართოდ და აქტიურად იზიდავს მასებს წარმოების მართვაში და ამით თავლსაჩინო წარმატებებს აღწევს. ცხადია, ასეთი კომიტეტები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პროფკავშირის წევრთა სრულ მოწონებას და მხარდაჭერას ჰპოვებენ.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საქარხნო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა ო. ჟყონია, უნარიანად ხელმძღვანელობს მეფეტალურგეთა საწარმოო თათბირების მუშაობას. ასეთი თათბირები აქ ნამდვილად გადაქცეა წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის ორგანოებად, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ტრიბუნად. მარტო მილსადენთა საამქროში დაწერგილმა ერთმა წინადადებამ წარმოებას მილიონი მანეთის ეკონომია მისცა და დიდად გაზარდა დგან „400“-ის წარმადობა. საქარხნო კომიტეტი ენერგიულად იბრძვის საწარმოო თათბირებზე და მუშათა კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება ბევრი სხვა პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკიდანაც. მაგრამ არიან პროფკავშირული კომიტეტები, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, დუმილით უვლიან გვერდს შრომის კანონმდებლობის დარღვევებს, ვერ უზრუნველყოფენ წარმოების მართვაში მუშებისა და მოსამსახურეების აქტიურ მონაწილეობას. მაგალითად, გორის საკონსერვო ქარხანაში ხშირად არღვევენ სამუშაო დროს რეჟიმს. მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლება წარმოებიდან ხდება პროფკავშირის კომიტეტთან შეუთანხმებლად.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მკაცრად უნდა იქნას გაკრიტიკებული ასეთი პროფკავშირული კომიტეტები, ხოლო კომიტეტებში არჩეულ უნდა იქნან უფრო საქმიანნი. პრინციპული ამხანაგები, რომლებიც მთელი კოლექტივის ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს საანგარიშო-საარჩევნო კრებების გულდასმით მომზადებას. საჭიროა ამ კრებებზე უზრუნველყოფილ იქნას პროფკავშირის წევრთა დიდი უმრავლესობის დასწრება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა ეს ხელს შეუწყობს პროფკავშირული და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებათა გამოვლინებას და საქმიან ღონისძიებათა დასახვას.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები უნდა ჩატარდეს პროფკავშირული დემოკრატიის მოთხოვნათა სრული დაცვით, პროფკავშირული ორგანოების არჩევნების შესახებ ინსტრუქციის სრული შესაბამისობით.

პარტიის XXI ყრილობამ პროფკავშირებს დააკისრა განავითარონ მუშათა ინიციატივა და ყველა მშრომელის აქტივობა, წარმართონ მათი დონისძიებანი სახელმწიფო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად, ყველა საწარმოში ტექნიკური პროგრესისათვის საბრძოლველად. უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მხარი დაუჭიროონ ნოვატორებს, გამომგონებლებს, წარმოების მოწინავეებს, გაავრცელონ მათი გამოცდილება.

ამოცანა ის არის, რომ პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები ჩაატაროთ მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, ყველა რგოლში ავარჩიოთ მოწინავე და თავდადებული ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ პირადი მაგალითით გაიყოლიონ მასები პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანების შესასრულებლად.

დ. ცირეკიძე.

საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

ზღვისპირის შვიდწლედის ზღვიანეებზე

ბალნაარში

1. ტანაურილი, მრავალწლოვანი ეკალიპტებითა და წიწვოვანი მცენარეებით დამშვენებულ კეთილმოწყობილ გზას, მარად მოჩუხჩუხე კინტრიშის გაყოლებით ფერდობებზე რომ მიიკლაკნება, მწვანეში ჩაფლულ ლამაზ სოფელში შევყავართ. თვალწარმტაცია ჩაის ხავერდოვანი პლანტაციებით, ხეხილის ბაღებითა და ციტრუსებით შემკული სოფელი ქობულეთი. ბუნებას ბარაქიანად დაუბერტყია კალთა მის სადიდებლად.

სამართლიანად უთქვამს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მეჰმედ შეხუს, როცა ამას წინათ ეს სოფელი დაუთვალიერებია: „აქ ყოველი კარმიდამო აგარაკად გამოდგებაო.

ქობულეთის რაიონში ოცდარვა კოლმეურნეობიდან ოცდაექვსი მილიონერია; აქედან ცხრა კოლმეურნეობის წლიური ფულადი შემოსავალი 5—13,5 მილიონ მანეთს აღწევს. შარშან რაიონში საშუალოდ თვითეულ შრომადღეზე 29 მანეთზე მეტი გაიცა. თუ რამდენად დიდია რაიონის ეკონომიკაში ჩაის კულტურის ხვედრითი წონა, ამას ისიც მოწმობს, რომ წელს მარტო მეურნეობის ამ დარგმა რაიონს 132 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი მისცა.

ჩვენი მიზანია მკითხველებს გავაცნოთ რაიონის მხოლოდ ერთი მრავალთაგანი კოლმეურნეობის ცხოვრება.

2. მომცრო ტანის, მკვრივი აღნაგობის, დაუდგრომელი ბუნების ვაჟკაცი პირველი შეხვედრისთანავე იპყრობს თქვენს ყურადღებას და სიმპათიას იმსახურებს. მას ჩვენ ჩაის პლანტაციაში გავეცანით.

კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე სულეიმან ჯაში საქმის ცოდნითა და გამოცდილებით გამოირჩევა. მასწავლებელი, საოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარე, ხოლო ახლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ასეთია მისი შრომითი მოღვაწეობის გზა. სულ ათიოდე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც იგი თანასოფელელებმა არტელის თავმჯდომარედ აირჩიეს, და მის სასახელოდ უნდა ითქვას, კოლმეურნეობას დაეტყო გამრჯე მუშაკისა და კარგი ორგანიზატორის ხელი.

— ბუნება მოწყალებას არ გვაკლებს, — გვეუბნება სულეიმანი, — სირცხვილი იქნება არ დაეაფასოთ ეს დიდი სიკეთე. ამ მიდამოში თუ ხელს გაანძრევ, გარჯა ამაოდ არ იკარგება. ჩვენც ვცდილობთ გონივრულად წარვმართოთ კოლმეურნეთა ბეჯითი შრომა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის სიტყვა ლიტონი სიტყვა როდია.

ცნობილია, რომ სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობა შარშან რაიონში ერთ-ერთი ჩამორჩენილი არტელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გასული წელი ჩაის სარეკორდო მოსავლიანობით გამოირჩეოდა, ამ კოლმეურნეობამ ტონობით ჩაის ფოთოლი დააკლო სახელმწიფოს.

3. როგორ გამოიყურება ეს კოლმეურნეობა ახლა?

ახლა სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობა მტკიცედ დგას მოწინავეთა რიგებში. მან რაიონში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და დამატებით აღებული ვალდებულებაც. თუ შარშან სულ მოკრიფა 311 ტონა ნედლეული, წელს ჯერ კიდევ 20 სექტემბრისათვის კოლმეურნეობას მოკრეფილი ჰქონდა 345 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რითაც გადამეტებით შესრულდა ვალდებულებაც. ამ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა შრომის სწორმა ორგანიზაციამ, რასაც ახლა კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა.

მიმდინარე წლის მაისში კოლმეურნეობაში პირველად შეიქმნა მეთერთმეტე ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებულია 30 მოსწავლე. მარტო ამ ბრიგადამ (ხელმძღვანელი მეცხრეკლასელი მაყვალა მეგრელიძე), რომელსაც ოთხი ჰექტარი პლანტაცია აქვს, 10 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ბრიგადის ენთუზიასტებმა ლუიზა და ლიანა ჯაფარიძეებმა და გული ჭანკურიძემ 500-600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

— ჩვენი კოლმეურნეობა წელს ამ ორმა ცქრიალა გოგონამ ასახელა, — გვეუბნება სულეიმანი, და გვაცნობს დებს — გული და ეთერ ქათამაძეებს. თვითეული ნახევარ ჰექტარ პლანტაციას უვლის. შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ეს გოგონები ვაჟკაცურად მუშაობენ კოლმეურნეობაში. დიდი უამინდობის მიუხედავად, კურდღელსაც კი ასწრებდნენ დილით ადგომას. ქართულ ანდაზას თუ ითვალისწინებდნენ: „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო“. წელს კოკისპირულ წვიმაში რომ არ გვეკრიფა ჩაის ფოთოლი, გეგმას ვერ შეასრულებდით.

დებმა ქათამაძეებმა სკკ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს თვითეულს 500 კილოგრამი ფოთოლი მოეკრიფა გეგმის გადამეტებით. ეს ვალდებულება მათ პირნათლად შეასრულეს. 3.750 კილოგრამი ნედლეული თვითეულისაგან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა! — ასეთია მათი შრომის შედეგი.

ქათამაძეების მაგალითზე აღიზარდნენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ნათელა მახარაძე, ნარი გუგუნავა, ციცინო გუნთიაშვილი, ნანი ჯაფარიძე და სხვები, რომლებმაც 2.000—2.500 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს თვითეულმა.

და განა მარტო ახალგაზრდები შრომობენ აქ ასე მაღალნაყოფიერად?

სურიე მადოიშვილს ნახევარი საუკუნე უკან მოუტოვებია, ოთხი შვილი აღუზრდია და დაუვაჟკაცებია, ახალგაზრდობაში შრომის წითელი დროშის ორდენიც დაუმსახურებია. მაგრამ შრომას ახლაც არ ღალატობს. 0,43 ჰექტარ პლანტაციას უვლის, საიდანაც წელს უკვე მიღებული აქვს 4.290 კილოგრამი ფოთოლი, გეგმა კი სამ ტონას ითვალისწინებდა.

კოლმეურნეობაში ბევრია მოწინავე ბრიგადა, მაგრამ პირველობას არავის უთმობს მე-7 ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტი ჯემალ ჯაფარიძე. ამ ბრიგადამ გეგმის გადამეტებით მოკრიფა 7,5 ტონა ფოთოლი და ვალდებულებას 2,5-ჯერ გადააჭარბა.

კოლმეურნეობის სიმდიდრეს ჩაის გარდა ციტრუსოვანთა ბაღები, ტუნგოს პლანტაციები და კარგად განვითარებული მეცხოველეობა შეადგენს. წელს იგი სახელმწიფოს 40 ტონამდე ციტრუსოვანთა და 110 ტონამდე ტუნგოს ნაყოფს, აგრეთვე მეცხოველეობის დიდძალ პროდუქტებს ჩააბარებს.

4. ბარაქიანმა საკოლმეურნეო შრომამ წელში გამართა ქობულეთელი კოლმეურნე, ააყვავა და დაამშვენა ისედაც ბუნებით კეკლუცი მისი სოფელი. სოფლის ცენტრს ამშვენებს ახლად აგებული საშუალო სკოლის ლამაზი შენობა, კოლმეურნეობის კლუბ-კინტორა, სოფლის მაღაზია, ციტრუსოვანთა შემფუთავი ქარხანა, საავადმყოფოს, აფთიაქის, ვეტუბნის და სხვა დაწესებულებათა ნაგებობანი.

კოლმეურნეობის კანტორის აივნიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ახალმა ორსართულიანმა სახლმა, რომლის მშენებლობა დამთავრებული ჯერ კიდევ არ არის. ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვისია ეს სახლი, კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ა. კახიძემ გვიპასუხა:

— ეს სახლი რიგით კოლმეურნეს თ. გუგუნავას ეკუთვნის. აგერ კიდევ — მიგვითითა მეორე სახლზე, — კოლმეურნე გ. მელაძე ორსართულიან ქვის სახლს აშენებს. გალმა კი დ. ჯაფარიძე ამთავრებს რვაოთახიანი სახლის აგებას. ორსართულიან ქვის სახლებს იშენებენ კოლმეურნეები ხ. ვერულიძე, ნ. მელაძე, ნ. ტაკიძე, ხ. ოქროპირიძე, მ. ინაიშვილი და სხვები.

კოლმეურნეთა შეძლებულობას ისიც მოწმობს, რომ ხუსეინ ქათამაძის ოჯახს დღემდე გამომუშავებულ 420 შრომადღეზე ავანსად მიღებული აქვს 13.138 მანეთი.

სულეიმან ჭანკურიძის ოჯახმა შარშან შრომადღეებზე და საკარმიდამო ნაკვეთიდან 140 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. აქ მრავალ კოლმეურნეს აქვს მსუბუქი მანქანა „ზიმი“, „ვოლგა“, „პობედა“ და „მოსკვიჩი“.

უფრო ნათელი პერსპექტივებია კოლმეურნეობის წინაშე მომდინარე შვიდწლედში. ეკონომიკა გაიზრდება როგორც ახალი ფართობებისათვისების, ისე არსებული ბაღებისა და პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების ხარჯზე. შვიდწლედში კოლმეურნეობაში გაშენდება 16 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, ხოლო მოსავლიანობა გაიზრდება 311 ტონიდან 470 ტონამდე.

კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ჩაის საშუალო მოსავლიანობის დონეს, რაც შვიდწლედის ბოლოსათვის არის გათვალისწინებული, მიაღწიოს 3 წლით ადრე — 1962 წლისათვის. ეს იქნება ქობულეთელ კოლმეურნეთა პასუხი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვაზე.

ა. ჩავლეიშვილი,
დ. პაიჭაძე.

წარმტაცი სანახავია ახლა აჭარის ნარინჯოვანთა პლანტაციები. რტოები დაუხრიათ ძვირფასი ნაყოფით დახუნძლულ მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის ხეებს. წითლად ბზინავს ეგრეთწოდებული „ვაშინგტონი“. გაჩაღდა ნარინჯოვანთა კრეფა. მალე მშრომელთა სუფრას დაამშვენებს საქართველოს ოქროს ხილი. მოდის ციტრუსების უხვი მოსავალი. წელს აჭარა სახელმწიფოს ჩააბარებს ასეულ მილიონობით ცალ მანდარინს, ფორთოხალსა და ლიმონს. სურათზე: მანდარინის კრეფა ბათუმის რაიონის ახალშენის ციტრუსებ-ს საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ვ. გრიშენკოსი.

საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პლენუმი

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). **გაიმართა საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.**

პლენუმმა საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ბ. ბებიჯი.

საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. შ. შაკაია.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. გვარამია. მეორე მდივნად არჩეულია ამხ. ო. ურიდია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ბღაუბამ.

მეგოგრეგი

ორივეს ერთად ნახავთ სანგრევში, უბნის საგარეგანოში, კლუბში თუ ქუჩაში. ტყიბულის ლენინის სახელობის შახტაში ყველამ იცის, რომ ანტონ ვარდოსანიძე და ზოდიკო მელაშვილი განუყრელი მეგობრები არიან.

16 წლის ჭაბუკი ანტონ ვარდოსანიძე ზოდიკო მელაშვილს პირველად 1945 წელს შეხვდა ტყიბულის № 3 სამთოსამრეწველო სკოლაში. მამით ობოლმა ჭაბ

DO RYCHŁEGO ZOBACZENIA POLSCY PRZYJACIELE!

მომავალ შეხვედრამდე, პოლონელო მეგობრებო!

★ ★

რა მალე შევეწყეთ ერთმანეთს!

თვითმფრინავ „ტუ-104“-ში, რომელიც საქართველოსაკენ მოემართებოდა ვარსავიონის ფანტასტიკური მთების თავზე, ჩემს გონებაში ვითვლიდი იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჩემ მოგზაურობათა დროს გავეცნობივარ. მე დავითვალე: ჩემ სამშობლოს გარდა ვიცნობ კიდევ 14 ქვეყანას. ეს გამოთვლა იმიტომ დავიწყე, რომ არც ერთი მოგზაურობის დროს ეს დაინტერესებული არ ეყოფილვარ. საქართველო პოლონელთა წარმოდგენით ლეგენდარული ქვეყანა, სილამაზისა და ბედნიერობის ქვეყანაა.

ჩემთვის დიდად სასიხარულოა, რომ ამ მოძღვია გითხრათ, ძვირფასო ამხანაგებო, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებო, გითხრათ მთელი გულახდილობით, რომელიც ნამდვილ მეგობართა მოვალეობას ადგენს, რომ სინამდვილემ გადააჭარბა ჩემს წარმოდგენას. ჩემი შთაბეჭდილებანი ასეთი წინადადებით რომ გამოვხატო, ნებას მიბოძეთ ვთქვა: თქვენს ქვეყანაში ადამიანების სილამაზე ჰარმონიულად შეხამებულია ერთ მშვენიერ მთლიანობად — მცხოვრებ ადამიანთა სულიერ სილამაზესთან.

როგორც თეატრის ადამიანს, მინდა ერთ-ორ სიტყვა ამ დარგის შესახებ. სამწუხაროდ, სიმართლეა, რომ ამ მოძღვია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვიცი, ვინაიდან ჩემი აქ ყოფნის დროს ბოლოს ჩვენ ვნახეთ ერთი სპექტაკლი რუსთაველის სახელობის თეატრში „ოიდიპოს მეფე“. აი რა მეცა ინალეს: ტექსტი წაკითხული იყო სოფოკლეს იდეებისა და შთანაფიქრის თანმიმდევრულად. მაგრამ ესთეტიკურ ფორმაში, ინსპირაციებში, დეკორაციებსა და კოსტიუმებში თვალში გეცემათ რაღაც განსაკუთრებული თვისება — ალბათ ეროვნული თვისება.

მაგრამ ა. ხორავა! ათ წელიწადზე მეტია ვეთანხმებოდ ამ ხელოვანის შესანიშნავ საბჭოთა და დასავლეთ ევროპის ბრესში. მომხიბლა ხორავას არა მარტო ეროვნულმა ტემპერამენტმა, არამედ ფორმა, წაყვანის შესანიშნავად მოფიქრებულმა ხაზმაც, მეტად დიდმა მხატვრულმა ტაქტმა. ხორავასთან მეგობრულმა საუბარმა — რა მალე შევეწყეთ ერთმანეთს! — შესაძლებლობა მომცა დამენახა დიდი შემოქმედებითი ინტელექტის ხელოვანი.

მიგდივარ არა მარტო იმ შთაბეჭდილებებით აღსავსე, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩამოვაყალიბებ, არამედ მომავალი შეხვედრებისადმი ნამდვილი მხურვალე მისწრაფებითაც გამსჭვალული; მინდა შესაძლებლობა მქონდეს გავეცნო საქართველოსა და მის ხელოვნებას. ესა მსურს არა მარტო პირადად ჩემთვის, არამედ ეს საჭიროა ჩემი მეგობრებისა და კოლეგებისთვისაც — პოლონეთის თეატრის მუშაკებისათვის. ჩვენმა ვიზიტმა რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორ ალუქსიძისა და სხვა მსახიობთა თანდასწრებით, ჩვენმა შეხვედრამ საბჭოთა მსახიობებთან დამარწმუნა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია პირად კონტაქტებს. ჩვენ ვეცდებით, რომ მომავალში ასეთი კონტაქტები უფრო ხშირად ხდებოდეს.

ჰენრიხ შლეტინსკი,
პოლონეთის მსახიობთა საზოგადოების თავმჯდომარე.

თან მიმაქვს სიხარული

საქართველოში მიღებულ ჩემს შთაბეჭდილებებზე ლაპარაკს დავიწყებ იმით, რითაც დავამთავრე ჩემი მოხსენება თბილისის უნივერსიტეტში. მე ვილაპარაკე პოლონელ მეცნიერთა ზოგიერთ ნაშრომზე, რომლებიც დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობასთან. ჩემთვის, როგორც პოლონური მეცნიერების წარმომადგენლისათვის, საგანი ცხადია, რომ დღეს არცერთ ქვეყანას, რა ძლიერიც უნდა იყოს იგი, არ ძალუძს კარჩაკეტილად იცხოვროს; საჭიროა თანამშრომლობდეს უწინარეს ყოვლისა სოციალისტიკის ბანაკის ქვეყნებთან, აგრეთვე უველა სხვა ქვეყანასთან, რომლებიც თანაარსებობის პრინციპს აღიარებენ.

კერძოდ, პოლონური მეცნიერების კავშირს საბჭოთა მეცნიერებასა და საბჭოთა საქართველოს მეცნიერებასთან შეუძლია დიდი მეცნიერული წარმატება და პროგრესი მოგვიტანოს და უკვე მოაქვს. ჩვენთან პოლონეთში უკვე იყვნენ სტუმრად ქართველი მეცნიერები — პროფესორი, აკადემიკოსი გ. წერეთელი, პროფესორი ჯიქია, პროფესორი ცინცაძე და სხვები და ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ, რომ მათ გაგვიზიარეს თავიანთი მეცნიერული გამოცდილება. ჩვენ გაგვიჩნდა საერთო პრობლემები და თემები, და იმედი მაქვს, რომ ჩვენი მეცნიერული და კულტურული კონტაქტები გაძლიერდება.

მუშაობის ხასიათის მიხედვით ყოფნა მიხდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, და მინდა დავარწმუნო ჩვენი ქართველი მეგობრები, რომ თუ გადავწყვეტე აქ წამოვსულიყავი, იმ ღრმა რწმენით, რომ მხოლოდ პირადი კონტაქტები უწყობს ხელს ნამდვილი მეგობრობის განმტკიცებას.

ბოლოს, არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი პირადი შთაბეჭდილებანი ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის შესახებ, რაც წინათაც ვიცოდით, მაგრამ რამაც ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. არ შემიძლია აგრეთვე არ გავიხსენო ჩემი ღრმა განცდები თქვენი მშვენიერი ქვეყნისა და საქართველოს მიწა-წყლის წარმტაც კუთხეთა გაცნობით გამოწვეული. ქართული ჩაის პლანტაციები, ციტრუსოვანთა ტყეები, ბამბუკის კოროშები, ტანაყრილი პალმები — ნიჟიერი და შრომისმოყვარე ქართველი ხალხის ხელითა და შრომით დამშვენებული მთელი მდიდარი ბუნება თან მიმაქვს თვალთა გუგებში ადბეჭდილი.

დე მტკიცდებოდეს მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხს შორის, ქართველ ხალხსა და პოლონელ ხალხს შორის.

ანანიაშ ზაიონჩკოვსკი,
პროფესორი, დოქტორი.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, პოლონეთის კულტურის მოღვაწეთა შორის საქართველოში იყო ფილოლოგი იან ბრაუნეკი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ცხოვრობდა და სწავლობდა. პოლონეთის კულტურის კვირეულის დამთავრებასთან დაკავშირებით იან ბრაუნმა ქართულ ენაზე დაწერა წერილი ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ იან ბრაუნის წერილის ფაქსიმილეს:



ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ!

დამთავრდა პოლონური კულტურის კვირეული

ბევრი თბილისელი მოვიდა 25 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სადღესასწაულოდ მორთული თეატრის დარბაზში, სადაც გაიმართა პოლონური ხელოვნების ოსტატთა საბოლოო კონცერტი.

...სცენაზეა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, რომელსაც დირიჟორობს პოლონელი დირიჟორი ზდისლავ ბიტნარი.

დიდი წარმატებით გამოვიდა კონცერტზე ვარშავის ოპერის თეატრის სოლისტი ვაცლავ დომენეცკი. მაყურებლებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს გდანსკის ოპერის თეატრის სოლისტი ეფი პოდსიადლი. დიდი წარმატება ხვდა წილად კრაკოვის თეატრისა და პოლონეთის რადიოს სოლისტს კაზიმეჟ პუსტელიაკს.

კონცერტის მეორე განყოფილებაში ბალეტის ოპერის თეატრის საბალეტო ჯგუფმა უჩვენა კურპინსკის ბალეტი „ქორწილი ოიცოვში“.

კონცერტის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა მსახიობებსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეებს, რომელნიც სცენაზე ავიდნენ, ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს.

სტუმრებს ყვავილების დიდი თაიგულები მიართვეს, თეატრისა და ფილმების მსახიობთა კავშირის თავმჯდომარემ პენრიხ შლეტინსკიმ პოლონური კულტურის კვირეულის მონაწილეთა სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა შეკრებილთა და მათი სახით საქართველოს ყველა მშრომელს განსაკუთრებით გულთბილი და გულითადი მიღებისათვის. მომართა რა პოლონელ მეგობრებს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ დიდი მადლობა გადაუხადა პოლონური ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენლებს, უსურვა მათ შემოქმედებითი წარმატებანი. (საქმესენ).

* * *

სურათზე: პოლონელი სტუმრები დასკვნითი კონცერტის დამთავრების შემდეგ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებთან ერთად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲒᲐ, ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲒᲐ

26 ოქტომბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის კვირეულის მონაწილეებმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გამართეს პრეს-კონფერენცია, რომელზეც შეიკრიბნენ დედაქალაქის პრესისა და რადიოს მუშაკები.

პრეს-კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ყლინტმა.

პოლონური კულტურის მოღვაწეთა სახელით დამსწრეთ მიესალმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრის მოადგილე კ. რუსინეკი.

— ლამაზმა საქართველომ და მისმა სტუმართმოყვარე ხალხმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა, — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე პოლონელმა პოეტმა სტანისლავ რიმარდ დობროგოლსკიმ. — მე იმდენი კარგი რამ ვნახე და განვიცადე, რომ მის გადმოსაცემად, ალბათ, დიდი დრო დამჭირდება. მე ვნახე თქვენი მშვენიერი ბუნება, ვნახე ქალაქები, სოფლები, შეგხვდი თქვენს მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების მუშაკებს, მუშებს, კოლმეურნეებს, და როდესაც ახლა ჩემს თავს ვეკითხები რა უფრო მომეწონა საქართველოში, პირდაპირ ვამბობ, თქვენი ხალხი, მისი გულითადობა, მისი გულწრფელობა, სტუმართმოყვარეობა.

ქართველ მეცნიერებთან თანამეგობრობის შესახებ დამსწრეთ ესაუბრა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი ა. ზაიონჩკოვსკი.

საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა პრესის მუშაკებს მოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა პოლონელმა პოეტმა იგორ სეკირინსკიმ.

პრეს-კონფერენციის დასასრულს პოლონეთის კულტურის მოღვაწეებმა უპასუხეს კორესპონდენტთა კითხვებზე.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲭᲔᲑᲘ



ᲛᲔᲠᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲕᲔᲘᲛᲐᲜᲘ

მოგელ, მსურდა, რომ მენახა საქართველო როგორც მხატვარს; ჩამწვა მთებმა, მზემ, ვენახმა, ვეტრფი თბილისს — მართლა ნატვრას.

ᲔᲓᲕᲐᲠᲓ ᲫᲚᲐᲢᲝ

მხიბლავს თქვენი მთა-ბარ-მდელო, ვხარობ ძმებთან რომ მოვედი. შემიყვარდა საქართველო, როგორც დვიძი პოლონეთი.

ნახატები გ. ფირცხალავასი.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲭᲔᲑᲘ



ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨ ᲖᲐᲘᲝᲜᲩᲙᲝᲕᲡᲙᲘ

შემოვალე ადმოსავლეთი, ვესტფარე შოთას კერასაც. მხარე პურადი ასეთი — მეც მაწყებინებს მღერასა.



ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲙᲚᲔᲨᲘᲪᲐᲙᲘ

ბევრჯერ დავლოცეთ ჯიხვის რქით ოქვენი სამშობლო ქებული. ფავალთ კავკასის მთის იქით ნანახით გოგნებული.

ᲒᲗᲔᲓᲛᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲡ...

უკანასკნელ წლებში ბევრს ვმოგზაურობდი, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, რომ არსად არ შეეხვედრივარ ისეთ გულითად მიღებას, როგორც საბჭოთა კავშირში, საქართველოში.

ცხადია, რომ პროფესიული მიზეზების გამო მე ყველაზე მეტად თეატრი მაინტერესებდა. საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში მოწინავე ქართველი არტისტები მოგვითხრობდნენ თეატრალური ცხოვრების ორგანიზაციის შესახებ, საოპერო და დრამატული თეატრების განვითარების შესახებ, ჩვენ ვნახეთ მშვენიერი თეატრები მაყურებელთა დიდი დარბაზებით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თეატრალურ ხელოვნებას მრავალი დამფასებელი ჰყავს. კონცერტებისა და წარმოდგენების დროს ამ მაყურებლებს რომ ვაკვირდებოდი, შევამჩნიე, რომ ისინი ჩინებულად ერკვევიან თეატრის პროფესიულ საკითხებში და ადვილად განასხვავებენ მნიშვნელოვან მომენტებს სუსტისაგან. ეს უეჭველია ხანგრძლივი კულტურული ტრადიციის შედეგია. თქვენში დიად ტრადიციასთან ერთად სრული ძალით დაცულია მარადი ახალგაზრდობა. რა თქმა უნდა, ამ თვისებებს ჩვენ ვხედავთ არა მარტო მაყურებელთა დარბაზებში, არამედ უწინარეს ყოვლისა თვით სპექტაკლების დროს. მე მინდა სპეციალური აღნიშვნა მივაქცევ ბალეტ „ოტელოს“, რომელშიც სინაზე შერწყმულია ტექნიკური შესრულების დიდ ძალასა და სიზუსტესთან, აგრეთვე მშვენიერ სპექტაკლს „ოიდიპოს მეფეს“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს გამოჩენილი მსახიობი ხორავა.

საბჭოთა ხელოვნება უნდა გაიცნოს მთელმა მსოფლიომ, როგორც ჩვენ გავიცანით და შევიყვარეთ იგი საქართველოში ჩვენი ხანმოკლე ყოფნის დროს.

ᲔᲓᲕᲐᲠᲓ ᲫᲚᲐᲢᲝ,
ყოველკვირეული „თეატრის“ მთავარი რედაქტორი.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ერთი კვირის განმავლობაში კინოთეატრებში „სპარტაკსა“ და „თბილისში“ თბილისელმა მაყურებელმა ნახა სამი პოლონური კინოფილმი: „არწივი“, „თავდასხმა“, „ერთი გამანადგურებლის ამბავი“.

სამივე ფილმის თემა ერთია. პოლონელი პატრიოტების ბრძოლა ჰიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის იდეას კარგად გადმოსცემს ფილმ „თავდასხმის“ შესავალი.

ვარშავა. გალავანი, რუხი და იდუმალი. გალავნის მიღმიდან მონოტონური და ცივი ხმა ისმის. კითხულობენ შემზარავ ბრძანებას. შემდეგ თოფების ხმა და სიჩუმე. გალავნის მიღმა ხვრეტენ პოლონელ პატრიოტებს.

ვერავითარი ხელოვნური მიჯნა, იძულება ვერ შეაჩერებს თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა ბრძოლას სამშობლოსათვის, ბორკილების მსხვრევისათვის, გალავნის ნგრევისათვის. ეს არის პოლონური კულტურის კვირეულზე წარმოდგენილი პოლონური კინოფილმების ძირითადი იდეა, ძირითადი ლეიტმოტივი.

ეს ბრძოლა გრძელდება ყველგან — ზღვაზეც (ფილმი „არწივი“), ხმელეთზეც („თავდასხმა“) და ჰაერშიც („ერთი გამანადგურებლის ამბავი“).

ფილმ „არწივით“ დაიწყო პოლონური კულტურის კვირეული თბილისის კინოეკრანებზე.

ამ ფილმში გვხვდება არა ერთი დაუვიწყარი კადრი. თუნდაც ერთი შეხედვით უბრალო და მარტივი — ჩრდილებით თამაში. ეკრანზე ორი ჩრდილია. ისინი მოძრაობენ. დიდი ლანდი ზევით არის, ხოლო მომცრო — ქვევით და დიდის გეზს იმეორებს: წყალქვეშა ნაღი ინიღბება მტრის კრეისერის ქვეშ. ეს უხმო ჩრდილოვანი კადრი დიდი ემოციის და შთაგონების შემცველია.

კინოფილმ „თავდასხმაში“ მეზღვაურ პატრიოტებს ხმელეთის მამულიშვილნი სცვლიან — ჩორნი, იაცეკი, მართა, ზბიშეკი, კრისია.

განსაკუთრებით ძლიერია „ჩორნის“ როლში მსახიობი ანჟეი მაი. ეს დამაჯერებელი სახეა არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელისა. ამაში მსახიობს ხელს უწყობს დიდი შინაგანი ტაქტი და ზომიერების გრძნობა.

მომხიბვლელია ბოჟენა კუროკსა მართას როლში. მსახიობმა ქალმა შეძლო აუჩქარებლად, შინაგანი რწმენით გაეხსნა პატრიოტი მებრძოლი ქალის რთული როლი.

სიუჟეტურად კარგად შეკრული სიტუაციები, ამბების დინამიურად გაშლა და მძაფრი მომენტების დროზე და გონივრულად მომარჯვება მაღალმხატვრულ ზემოქმედებას ანიჭებს მთელ ფილმს. ეს სამი ფილმი ერთი იდეური სწრაფვით არის გამსჭვალული: სამშობლოს სიყვარული, შურისგება დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ კეთილშობილ პატრიოტთა სახის წარმოსახვა, გაცოცხლება დიდ შინაგან, მხატვრულ შესაძლებლობებს მოითხოვს მსახიობებისაგან. პოლონელ კინემატოგრაფისტთა სასახელოდ უნდა თქვას, რომ მათ წარმატებით შეასახეს ხორცი ამ მაღალ იდეას.

სამივე ფილმი: „არწივი“, „თავდასხმა“ და „ერთი გამანადგურებლის ამბავი“ დიდი შინაგანი დრამატიზმით გამსჭვალული ფილმებია. თბილისელმა მაყურებელმა ეს ფილმები სიყვარულით მიიღო.

პოლონური კულტურის კვირეულმა საქართველოში დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ხალხების შემდგომ დაახლოებას და ამ კეთილშობილურ საქმეში სპეციალური როლი ეკუთვნის პოლონურ კინემატოგრაფიას.

გ. ᲧᲐᲠᲔᲗᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

„მოგესალმები, თბილისო, წალკოტებითა და ყვაროებით დამშვენებულო ქალაქო! მოგესალმები, მტკვრის ნაპირებზე გაშლილო ქალაქო, რომელმაც ათეულ საუკუნეთა მანძილზე შვიდჯერ იცვალა სახე შვიდი აორრების შემდეგ! მოგესალმები, ოცდაათი საუკუნის ისტორიის მქონე ხალხის სიმამაცევ“!..

ამ სიტყვებით მიესალმა თბილისს გასულ საუკუნეში კავკასიაში გამოძევებული ერთ-ერთი პოლონელი მატეუშ გროლევსკი. ეს მისალმება ვნახე გროლევსკის წიგნში „კავკასია“, რომელიც გამოცემულია 1877 წელს.

დიდი ხანია მინდოდა გავცნობოდი საქართველოს. მე და საქართველო პირველად ლიტერატურის გზით შევხვდით — ელენე ბობინსკაიას მიერ ახალგაზრდობისათვის დაწერილი შესანიშნავი წიგნით „ქაბუნაურის გვარის შურისძიება“, რომლის მოქმედება წარმოებს ხევსურეთში, აგრეთვე პაუსტოვსკის მშვენიერი მოთხრობით „ოლნიდა“. მინდოდა მენახა არა მარტო რადამესის პარტია, ისევე როგორც ოპერის დანარჩენ მოქმედ პირთა პარტიებიც, უმდიდრეს შესაძლებლობებს აძლევს შემსრულებელს. ვაცლავ დომენეცკის ალტაცებაში მოძაყავს მსმენელები რადამესის იმ რომანსის პირველივე ტაქტებიდან, რომელიც გვიხატავს მის სიყვარულს ეთიოპი ტყვე ქალის იდუსადმი. და ეგვიპტელი მხედართმთავრის სახით შესანიშნავი მომღერალი წარმოგვიდგენს მძიმე შინაგან ბრძოლას გულისთქმასა და მოვალეობის შეგნებას შორის. შესანიშნავად ელერის მისი ხმა სოლო არიებში. ვაცლავ დომენეცკი განსაკუთრებული გატაცებით ასრულებს, დარბაზს ფართო ტალღად ედება მისი მძლავრი ხმა.

საინტერესო სპექტაკლი გამოდგა პუჩინის „ტოსკაც“ იანინა როზელევუნას მონაწილეობით მთავარ პარტიაში.

ტოსკა ერთ-ერთი საუკეთესო პარტიად ითვლება მომღერლის რეპერტუარში. ამ პარტიაში ჩვენი თეატრის სცენაზე მან გვიჩვენა თავისი დიდი ვოკალური შესაძლებლობანი და დრამატული მსახიობის ნიჭი. მას გააჩნია ეფექტიანი სცენური გარეგნობა, ლამაზი, ფართო დიაპაზონის დრამატული სოპრანო.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში უკანასკნელი გამოსვლისათვის პოლონელმა მომღერლებმა ვაცლავ დომენეცკიმ და ბერნარდ ნოვაკიმ ბიზეს „კარმენი“ აარჩიეს.

ვაცლავ დომენეცკი, რომელიც თბილისელმა მაყურებლებმა მანამდე რადამესის პარტიაში ნახეს, ქმნის უბრალო, პატიოსანი ჯარისაკის — ხოზეს ძლიერ, დრამატულ სახეს.

უკვე პირველ სცენაში, როცა კარმენი ყვავილს ესვრის ხოზეს, ხოლო ეს უკანასკნელი მოკადოებულივით ივიწყებს საცოლისათვის მიცემულ სიტყვას, გოცებული შესცქერის კარმენს და თვალი ვერ მოუშორებია მისთვის, მაყურებელი წინასწარ გრძნობს იმ ტრაგედიას, რომელიც ხოზეს მოელის. შემდგომ აქტებში მომღერალი აღრმავებს თავისი გმირის დრამას. არია ყვავილით პოლონელი მომღერლის შესრულებით გაისმის, როგორც სატრფიალო ჰანგი, რომელშიც უკვე გამოსჭვივის უბედური ადამიანის ეჭვი და შეშფოთება.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ვაცლავ დომენეცკი მესამე აქტში — „კონტრაბანდისტთა ბანაკი“. ამ ეპიზოდში ნაზი ლირიკიდან, რომლითაც გამსჭვალულია მისი დიალოგი მიქაელასთან, ვაცლავ დომენეცკის ხოზე გულისწყრომის ისეთ მძაფრ გამოვლინებაზე გადადის, რომ მაყურებელს უნებურად აშინებს კარმენის ბედი. გულწრფელი აღელვებით, დიდი ტემპერამენტით მიყავს მომღერალს ცხოვრებისაგან გათელილი ხოზეს უკანასკნელი შეხვედრა კარმენთან.

ნამდვილ მხატვრულ მწვერვალებს აღწევს ბერნარდ ნოვაკი ტორეადორ ესკამილიოს პარტიაში. ფართო ტალღად ედება დარბაზს მისი ძლიერი ხმა ტორეადორის კუპლეტებში. ძლიერი გრძნობა გამოსჭვივის ფინალური აქტის ესკამილიოს არიაში.

მაყურებლებით გაჭედილი დარბაზი, როგორც ყოველთვის ძალიან გულთბილად შეხვდა პოლონელ სტუმრებს.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲫᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

**ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲢ

კეთილი მეზობლობა მოვიდოგის გურჯია

მეგობრობამ გადალახა საზღვარი

ა. ი. ჰიქოიანი ფინეთში

ჰელსინკი, 24 ოქტომბერი, (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი ეწვია კაბელის ქარხანას, სადაც გაეცნო გამოშვებულ პროდუქციას, დათვალიერა საამქროები და ესაუბრა მუშებს.

ა. ი. მიქოიანს ახლდნენ ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ა. კარიალაინენი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი და სხვა პირნი.

ქარხნის შესასვლელთან ა. ი. მიქოიანს შეხვდა ქარხნის მთავარი დირექტორი ბ. ვესტერლუნდი, რომელიც ძალიან ახსნა-განმარტებას საამქროების დათვალიერების დროს.

ქარხნის ერთ-ერთ საამქროში შეიკრიბნენ მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც გულითადად მიესალმნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პირველ მოადგილეს. ა. ი. მიქოიანს მიმართა ქარხნის მუშათა მთავარმა რწმუნებულმა ვ. ლაიტინენმა. იგი გულითადად მიესალმა საპატიო საბჭოთა სტუმარს ქარხნის მუშათა, პროფკავშირული ორგანიზაციისა და „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების განყოფილების სახელით.

ნება გვიბოძეთ, თქვა ვ. ლაიტინენმა, ქარხნის მუშათა სახელით მადლობა გადავუხადოთ თქვენს თავმჯდომარეს ბევრი წინადადებისა და ღონისძიებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობას.

ა. ი. მიქოიანმა მადლობა გადაუხადა მუშებს გულთბილი მისალმებისათვის. საბჭოთა მთავრობა, ამბობს იგი, იბრძვის ყველა ხალხის მშვიდობისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ფინეთის ხალხი და მთავრობა იგრეთვე იბრძვიან მშვიდობისათვის. ჩვენ ეს მტკიცედ გვახარებს, მეზობლები ვართ და უნდა ვიცხოვროთ, როგორც მეგობრებმა. ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს.

ქარხნის დათვალიერების დასასრულს ა. ი. მიქოიანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ხელი მოაწერეს ქარხნის საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში.

დღეს ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ ახალი ყინულმჭრელის „ლენინგრადის“ წყალში ჩაშვების საზეიმო ცერემონიას. ყინულმჭრელის აშენებს „ვალტილიაინ“ კონცერნი საბჭოთა კავშირის შეკვეთით.

ცერემონიას დაესწრნენ იგრეთვე ფინეთის პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუკსელაინენი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ა. კარიალაინენი და სხვა ოფიციალური პირნი.

ა. ი. მიქოიანს მიუახლოვდა ნავსაშენის მუშათა ჯგუფი. ა. ი. მიქოიანს მიმართა მუშამ ლ. ლინდბერგმა და წარმოთქვა მოკლე სიტყვა.

ჩვენ, გემთმშენებელი მუშები, ამბობს იგი, გამოვთქვამთ კმაყოფილებას ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის დადებითი განვითარებით.

ა. ი. მიქოიანმა მადლობა გადაუხადა მუშებს საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხისადმი მეგობრობის გულთბილი სიტყვებისათვის. ჩვენ თქვენთან ერთად, ამბობს იგი, გიბრძვით ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ყინულმჭრელ „ლენინგრადის“ წყალში ჩაშვების ცერემონიის შემდეგ „ვალტილიას“ კონცერნის დირექტორმა ვ. ვალფორსმა სიტყვა გამართა ა. ი. მიქოიანისა და სხვა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად. სიტყვაზე ვ. ვალფორსმა და ა. ი. მიქოიანმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც სულ უფრო ვითარდება, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილნაყოფიერი თანამშრომლობის კარგი მაგალითია, ამ თანამშრომლობის ურთიერთსარგებლობის მაგალითია, განაცხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა.

დღეს, თქვა ა. ი. მიქოიანმა, ჩვენ გვქონდა სიამოვნება დავსწრებოდით ყინულმჭრელ „ლენინგრადის“ წყალში ჩაშვების ცერემონიას. ეს არის მეორე, 22 ათასი ცხენისძალის სიმძლავრის, მსოფლიოში ყველაზე ძლავრი დიზელ-ელექტრო ყინულმჭრელი, რომელიც სსრ კავშირისათვის შენდება. ამ ზომალდმა, განაგრძო მან, მიიღო ქალაქის სახელი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვანია და რომელმაც შესცვალა ჩვენი ხალხის ბედი და მისცა ფინეთს დამოუკიდებლობა. ქალაქისა, სადაც ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ.

ა. ი. მიქოიანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მშვიდობის განმტკიცებით დაინტერესებულია ყველა ხალხი, დიდი და პატარა ხალხები, და აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი შეხვედრები ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, საქმიან წრეებთან და უბრალო ადამიანებთან, აგრეთვე მთელი მსოფლიოს გამოხმაურება საბჭოთა კავშირის წინადადებაზე საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ადასტურებენ, რომ ადამიანებს სურთ მშვიდობა და იმედი აქვთ, რომ ისინი და მათი შვილები შეძლებენ იცხოვრონ მშვიდობის პირობებში.

დასასრულ ა. ი. მიქოიანმა გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის საერთაშორისო თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ. საყოველთაო მშვიდობის სასარგებლოდ.

ჰელსინკი, 25 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი პ. კონოვალოვი იუწყება:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც აქ იმყოფება ფინეთის მთავრობის მოწვევით, დღეს ქალაქ კოტკაში გაემგზავრა. ა. ი. მიქოიანს ახლავან ფინეთის პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუკსელაინენი, ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ა. კარიალაინენი, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი და სხვა ოფიციალური პირნი. ა. ი. მიქოიანთან ერთად მოგზაურობენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი და სხვა ოფიციალური პირნი.

ა. ი. მიქოიანს მიუახლოვდა ნავსაშენის მუშათა ჯგუფი. ა. ი. მიქოიანს მიმართა მუშამ ლ. ლინდბერგმა და წარმოთქვა მოკლე სიტყვა.

ჩვენ, გემთმშენებელი მუშები, ამბობს იგი, გამოვთქვამთ კმაყოფილებას ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის დადებითი განვითარებით.

ა. ი. მიქოიანმა მადლობა გადაუხადა მუშებს საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხისადმი მეგობრობის გულთბილი სიტყვებისათვის. ჩვენ თქვენთან ერთად, ამბობს იგი, გიბრძვით ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ყინულმჭრელ „ლენინგრადის“ წყალში ჩაშვების ცერემონიის შემდეგ „ვალტილიას“ კონცერნის დირექტორმა ვ. ვალფორსმა საუზმე გამართა ა. ი. მიქოიანისა და სხვა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად. საუზმეზე ვ. ვალფორსმა და ა. ი. მიქოიანმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც სულ უფრო ვითარდება, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილნაყოფიერი თანამშრომლობის კარგი მაგალითია, ამ თანამშრომლობის ურთიერთსარგებლობის მაგალითია, განაცხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა.

უ. კ. კეკონენმა ვახშამი გამართა ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად

ჰელსინკი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა ვახშამი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის აქ ყოფნის გამო. ვახშამზე იყვნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუკსელაინენი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ა. კარიალაინენი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი და ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი.

საგრძნობელი

საფრანგეთი მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს

დიდი კმაყოფილება

პარიზი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას საბჭოთა მთავრობის მეთაურის მომავალი ვიზიტის შესახებ საფრანგეთში და გამოთქვამს იმედს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ დე გოლის შეხვედრა ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუჯობესებას.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც „სიხარულით მიესალმება თავმჯდომარე ხრუშჩოვის მომავალ ჩამოსვლას საფრანგეთში“. „ამ მოგზაურობამ, — ნათქვამია განცხადებაში, — ხელი უნდა შეუწყოს ორი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ძირეულ გაუმჯობესებას“.

განცხადება მოუწოდებს ყველა ფრანგს, მათი პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად, შეხვდეს ნ. ს. ხრუშჩოვს „როგორც დიდი ქვეყნის წარმომადგენელს, რომელიც მოდამ იჩენს განუწყვეტელ მეგობრობას საფრანგეთისადმი. ქვეყნისა, რომელსაც ჩვენ მნიშვნელოვანწილად უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს განთავისუფლებას“ ჰიტლერული ოკუპაციისაგან.

„კარგი ცნობა“

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთი გაცხოველებულ კომენტარს უკეთებს ოფიციალურ ცნობას ომის შესახებ, რომ პრეზიდენტმა დე გოლმა მიიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში.

გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა ეტიენ ფაჟონის მოწინავე სტატია, რომელშიც წერს: „სულითა და გულით მივესალმებით ამ კარგსა და დიდ ცნობას. ყველა მშრომელი, და მათთან ერთად მშვიდობის ყველა მომხრე, ანუ ფრანგი ერის დიდი უმრავლესობა განიცდიან უსაზღვრო სიხარულს. საქმე ის არის, რომ მშვიდობა ყველაზე ძვირფასია, კაცობრიობის საერთო იმედია.

ეს მშვიდობის ახალი წარმატება და ცივი ომის პოლიტიკისაგან ახალი უკანდახევაა“.

ყველა სხვა გაზეთი აგრეთვე მიესალმება ცნობას საფრანგეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა მომავალი შეხვედრის შესახებ. „შეიძლება მხოლოდ გვახარებდეს ეს ცნობა, — წერს გაზეთი „ორორი“, — თუ საბჭოთა მთავრობის მეთაური პირადი კონტაქტების მომხრეა, ჩვენ ჩვენის მხრივ აგრეთვე ეფიქრობთ, რომ გულახდილი საუბარი მასა და საფრანგეთის მთავრობის მეთაურს შორის შეიძლება აღმოჩნდეს ნაყოფიერი სხვადასხვა დარგში“.

უნგრეთი ნიღაბს ხდის...

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების მესამე წლისთავთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა და ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. კ. ლოჯმა გამოაქვეყნეს განცხადებანი, რომლებშიც შარს სდგებენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს.

ამბოხებს რა ამ გამოხდომებს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოაქვეყნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნგრეთის მუდმივი წარმომადგენლის პეტერ მოდის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „სამი წლის წინათ მოხდა თავდასხმა უნგრელ ხალხზე. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ისე ღრმად იყო ჩაბმული ამ თავდასხმაში, რომ მან საქვეყნოდ შესთავაზა ამ მიზნით 20 მილიონი დოლარი. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია პროგრესული მოძრაობის წინააღმდეგ ყველგან, უნგრეთში განიცადა ერთი ყველაზე სერიოზული დამარცხება“.

„უნგრეთის ხალხი, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — თავისი არსებობისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის მაღლობას უხდის სოციალისტურ ქვეყნებს და უწინარეს ყოვლისა, და ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირს, რომელმაც იხსნა უნგრეთის ხალხი შემდგომი აუტანელი ტანჯვისაგან. უნგრეთის ხალხი ცხოვრობს სოსტემისა და მართვის პირობებში, რომლებიც თვითონ აირჩია და უფრო სასარგებლოა, ვიდრე ყოფილ ოდესმე თავისი ათასი წლის ისტორიის განმავლობაში“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის განცხადებაში შემდეგ ხაზგასმულია, რომ ცდა აღდგინონ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტს ბორკოტმოქმედებათა სერიაში, რომელთა დახმარებით ციცი ომის პოლიტიკანები ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობენ, ერთი მხრივ, ძირი გამოუთხარონ ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის შეხვედრების კონსტრუქციულ ზემოქმედებას და, მეორე მხრივ, მოწამლონ გაუმჯობესებული ატმოსფერო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე ახალი მზაკვრული გამოხდომების დახმარებით“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა წესდებას დებულებათა შესაბამისად, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა პროტესტს აცხადებს ჩარევის ყველა ცდისა და ცივი ომის ყველა მანევრის წინააღმდეგ.

„იმპერიალიზმი და მისი დამქაშები გეგმავდნენ შეთქმულებას“

ბაღდადი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). ერაყელ ჟურნალისტთა დელეგაცია ეწვია ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ადელ ქერიმ ყასემს, რომელიც სამკურნალოდ არის ჰოსპიტალში მისი სიცოცხლის ხელყოფის შემდეგ. როგორც გაზეთი „ერაყ ტაიმსი“ იუწყება, ჟურნალისტებთან საუბარში ყასემმა მოითხოვა ეროვნული რიგების ერთიანობის განმტკიცება ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულების წინაშე.

„იმპერიალიზმი და მისი დამქაშები, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, — გეგმავდნენ შეთქმულებას“. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე სახალხო ორგანიზაციებისა და პროფკავშირების დიდმნიშვნელოვანი როლი ერაყის დემოკრატიული სისტემის განმტკიცებაში.

კოშკთან...

იზრდება ჩვენი დედაქალაქი. კრწანისიდან ავჭალამდე გაუშლია თხუთმეტი საუკუნის თბილისს თავისი მთაგორიანი მხრები. უახლოეს წლებში აშენდა მრავალი ახალი საუცხოო შენობა, გაჩნდა კეთილმოწყობილი უბნები, რომლებსაც მხოლოდ სახელი შერჩათ ძველი, თორემ ყველაფერი აქ ახალია — სახლიც, ქუჩაც, ბაღებიც, მოედნებიც. გულში სიამე გემატება, როცა ინგრევა აქაიქ შემორჩენილი ქოხმახები და მათ გვერდით ხარაჩოებში ჩასმულ მრავალსართულიან ახალ სახლებს ხედავ.

მაგრამ ახალ თბილისში ბევრია ძველ დროს აგებული კარგი შენობებიც. ნახავთ ყვავილნარით შემკულ ეზოებს, რომლებიც შნოსა და ლაზათს მატებენ ჩვენს საყვარელ დედაქალაქს.

ამ სურათზე ჭონქაძის ქუჩის ერთ-ერთი სახლის კოშკია გადაღებული. ოდესღაც აქედან ჩასუქებული სოვდაგარი ან დიდი მოხელე გადასცქეროდა თბილისს. სოვდაგარი გაქრა იმ უკუღმართ დროსთან ერთად, იხ პატარა კოშკი კი ბავშვების საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა.

სურათზე: ჭონქაძის ქუჩის კოშკიანი სახლი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

სპორტის ამბები

მატჩები დონის როსტოვსა და მოსკოვში

დონის როსტოვი. 26 ოქტომბერი. საკავშირო ჩემპიონატის ლიდერის მოსკოვის „დინამოსა“ და დონის როსტოვის სკკო-ს ფეხბურთელთა გუნდების მატჩი დონის როსტოვში დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ბურთი პირველი ტაიმის 29-ე წუთზე გაიტანა მარჯვენა გარემარბმა სმირნოვმა.

ამ გამარჯვებით დონის როსტოველის სკკო-ს გათამაშების ცხრილში მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. დღეისათვის სკკო-ს მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთად 19 თამაშიდან 24 ქულა აქვს.

მოსკოვი. 26 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და სტალინის „მეზტორის“ გუნდები. მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

თასი სპარტაკელებმა მოიპოვეს

მიმდინარე წლის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი შეჯიბრება ფეხბურთში ეიყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიზკულტურული კოლექტივებისათვის.

ფინალში გავიდნენ კრასნოდარის საზომი ხელსაწყოების ქარხნისა და მოსკოვის „სპარტაკის“ საკლუბო გუნდები.

ფეხბურთელთა ამ კოლექტივების დასკვნითი ასპარეზობა გაიმართა გასულ კვირადღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. მატჩი მოიგო „სპარტაკმა — ანგარიშით 1 : 0.

საქართველოს მოტოციკლეტთა წარმატება

საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება მოტოციკლეტებზე სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდების მონაწილეობით წელს კიშინიოვში მოიწყო. რემპიონატში მონაწილეობდა საქართველოს „დინამოს“ მოტოციკლეტების ნაკრები გუნდი.

ჩვენი რესპუბლიკის მოტოციკლეტებმა ამ უძლიერესთა ბრძოლაში საერთო გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს.

125 კუბური სანტიმეტრის მანქანებზე კიშინიოვში ბაბუკთა შორის საქართველოს მოტოციკლეტისტა ვ. კლიმენტიევმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ამავე სიმძლავრის მანქანით შეჯიბრებაში მეორე ადგილთა შორის სპორტის ოსტატმა ვ. ცალკალამანიძემ — მესამე ადგილი.

ლ. შ. კიკალიშვილი

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ეკონომისტი პარტიის წევრი 1919 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ლევან შევარდენის-ძე კიკალიშვილი. ლ. კიკალიშვილი დაიბადა 1879 წელს, სოფელ ბანძაში (გეგეჭკორის რაიონი), ლარგვლის ოჯახში.

რევოლუციურ მოძრაობაში ლ. კიკალიშვილი ჩაება 1903 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ეკონომიურ მონაწილეობას იღებდა ფოთის მეზობა რევოლუციურ გამოსვლებში. 1918 წელს მას სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მონაწილეობა პირველ რიგებში ვხედავთ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ლ. კიკალიშვილი სხვადასხვა პასუხსაგებ სამეურნეო იმყოფებოდა.

ამხ. ლ. კიკალიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

თეატრალური ამბები

27 ოქტომბერი

ოპერისა და ბალეტის — აიდა (მე-11 ამბო. 1 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ერთხელ დაზოგილები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ზ. გომელაურის იუბილე, **გრიბოიედოვის სახელობის** — უკანასკნელი გაჩერება, **სანკულტურის** — სიყვარულის მსხვერპლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (ამბო. № 51, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — სალდუმლო კუნძული (10 ს.), **თოჯინების ქართული** — შვლის ნუკრი (11 ს.), ჩექმებიანი კატა (2 ს.), **თოჯინების რუსული** — ზღაპარი რუხი მგლის შესახებ (11 ს.), თეთრა (1 ს.).

ტელევიზია

27 ოქტომბერი

15.55 — ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობის რეპორტაჟი თბილისს „დინამოს“ სტადიონიდან. ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ თბილისი — თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბი — მოსკოვი 19.30 — სკოლების დასახმარებლად — კინონარკვევი „რატომ ხდება მზის დაბნელება“, 19.40 — ლენინის სახელობის საკავშირო და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სესიის მონაწილენი სტუდიაში, 20.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 21.00 — უკანასკნელი ცნობები, 21.15 — ახალი მხატვრული ფილმი „მედიცინის დის ჩანაწერები“.

ტ 06987 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 1

სცენის ოსტატი

შაქრო გომელაურმა სახალხო თეატრის სცენაზე აიდგა ფეხი, აქ მიიღო მან პირველი შემოქმედებითი წრთობა, აქედან დაიწყო მის სახიობას ნათელი გაიზრდა, ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები განსახიერების კილო.

1909 წელს ვალერიან გუნიამ ახალგაზრდა შაქრო გომელაური სახალხო თეატრის ნიჭიერ სცენისმოყვარეთაგან გამოარჩია და თბილისის ქართული დრამის დასში ჩარიცხა. მას აქეთ, ნახევარი საუკუნის მანძილზე, შაქრო გომელაური თავდადებით ემსახურება მშობლიური ხელოვნებას. შაქრო გომელაურმა დიდ ქართველ მსახიობებთან ვახო აბაშიძესა, ლადო მესხიშვილსა და ვალერიან გუნიასთან ბედნიერი თანდგომით შეისწავლა, შეიძინა და შეითვისა აქტიორული განსახიერების რეალისტური სკოლის გამოცდილება. ცნობილი რეჟისორების ალექსანდრე წუწუნავას და ვალერიან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით გაწეულმა შემოქმედებითმა შრომამ შაქრო გომელაურს შემატა დახელოვნება სცენური ხასიათების ცხოვრებისეული სიმართლით გამოკვთვაში. შაქრო გომელაურის მოღვაწეობას სიმტკიცე და გაბედულება, შემართების ძალა და სიძნელეთა დაძლევის ნებისყოფა მოუპოვა თავის უფროს თანამედროვეთა — ნინო ჩხეიძის, ალექსანდრე იმედაშვილის და გიორგი არადელ-იშხნელის შთამაგონებელმა მაგალითმა, ამ სახელოვან ოსტატებთან ერთობლივმა შემოქმედებითმა შრომამ და მოღვაწეობამ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე შაქრო გომელაური მთელ თავის ნიჭსა და მზარდ ოსტატობას ახმარს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებას. 1921-1927 წლებში ის მუშაობს თბილისის, ბათუმის, გორის, ქუთაისისა და სოგარეჯოს თეატრებში და ყველგან თავის თავდადებული შრომით და შთამბეჭდავი სამსახიობო ხელოვნებით მაყურებელთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.



1928 წელს შაქრო გომელაური ერთ-ერთი ფუძემდებელი ხდება იმ თეატრისა, რომელსაც შემდეგ მისი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის კოტე მარჯანიშვილის სახელი ეწოდა. ამ თეატრის სცენაზე ის სამი ათეული წლის მანძილზე ქმნის ღირსშესანიშნავ სახეებს. მას საგრძნობი წილი უდევს ხალხის საყვარელი თეატრის ზრდა-განვითარებასა და წარმატებაში და ამიტომაც დაიმსახურა სახალხო არტისტად აღიარება.

დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა შაქრო გომელაურის ნიჭს ფრთა შეასხა, გამოიყვანა იგი დიდ შემოქმედებით სარბიელზე, მის ოსტატობას შესძინა ტიპიური სახეების ცოცხლად გამოკვეთის შნო და ლაზათი. ვისაც ერთხელ უნახავს, მას არასოდეს არ დაავიწყდება შაქრო გომელაურის მიერ განსახიერებული რიგელი შალვა დადიანის „ქაკალ გულში“. გომელაურის ამ სცენური ქმნილების გარეგნული სახიერების სიმკვეთრე გამძაფრებულია განზოგადებით ხატვის საოცარი უნარით, შექმნილი სახის გარეგნული დამახასიათებლობა იმდენადვე შთამბეჭდავია, რამდენადაც შთამაგონებელი და დამაჯერებელია შინაგანი ხილვის ძალა, სულიერი ცხოვრების წარმოსახვის დაუშრეტელი ენერგია. ამიტომაც არის, რომ შაქრო გომელაური ამ როლში მწვავე სატირიკულ ღღერადობას აღწევს. ასევე ითქმის შაქრო გომელაურის მიერ განსახიერებულ ტიტე ნატუტარზე პოლიკარპე კაკაბაძის კომედიაში „უყვარყვარე თუთაბერი“. შაქრო გომელაურის მიერ შექმნილ ამ სახეებს დღემდე არ დაუკარგავს თავისი ბრწყინვალება და ისინი უნდა მივაკუთვნოთ იმ სცენურ მონაპოვარს, რამაც შორს გაუოქვა ნაბელი ქართულ საბჭოთა თეატრს.

შაქრო გომელაურის რეალისტური წარმოსახვის მრავალმხრივობამ და ფართო შინაარსიანობამ, როლის გარეგნული სახიერების სისადავეს და ბუნებრივობასთან შერწყმულმა, განსაკუთრებით იჩინა თავი პეპიას ტიპის გამოკვეთისას ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ინსცენირებაში „ჩატეხილი ხიდი“. შაქრო გომელაური თანაბარი ძალით განსახიერებს ვურმსს შილერის „ვერაგობასა და სიყვარულში“ და გრაფ ალმავივას „ფიგაროს ქორწინებაში“.

შაქრო გომელაურმა, როგორც ერთერთმა ყველაზე ნაცადმა და ოსტატობით აღჭურვილმა მსახიობმა, დაიმსახურა ყოფილიყო ერთ-ერთი პირველი განმსახიერებელი ლენინის სახისა ქართულ სცენაზე შალვა დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან“.

შაქრო გომელაურს, როგორც მსახიობს, აქვს ახლის გრძნობა, ახლის დამკვიდრების თვალსაზრისით ის მახვილი თვალით ამჩნევს დრომოგმეულს და მის მხილება-გაკილვაში იჩენს გაბედულ შემართებას. პირველად დანახულის და შემჩნეულის გამომზევებისას ის ჩინებულად აგნებს და მარჯვედ იყენებს ახალ ფერადებს. შაქრო გომელაური დამახასიათებლად გამომხატველი დეტალის ოსტატია. ყოველივე ამის დამადასტურებელია შ. გომელაურის მიერ ჩინებულად გამოხატული გიგო ვ. გაბისკირიას ამ ხუთიოდე წლის წინათ დადგმულ პიესაში „უფსკრულთან“ და ტიპიური სისრულით განსახიერებული კოკორიკინი ლ. ლეონოვის „შემოსევაში“.

დღეს მაღლიერი მაყურებელი მთელ თეატრალურ საზოგადოებრიობასთან ერთად საზეიმოდ აღნიშნავს შაქრო გომელაურის სცენური მოღვაწეობის 50 წლისთავს. ვუსურვოთ ქართული საბჭოთა სცენის ამ ნაამაგარ მოღვაწეს კვლავაც დიდხანს მატებდეს მშვენებასა და ძალას ქართულ სცენას ჩვენი ქვეყნის საღიდებლად, ჩვენი ხალხის სასახელოდ.

დიმიტრი ჯანელიძე.

შაქრო გომელაურის სცენური მოღვაწეობის 50 წლისთავი

მ. ტალი და პ. კერესი ფინიშზე



მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი

ბელგრადი, 26 ოქტომბერი (ტელეფონით). გუშინ იუგოსლავიის პროფკავშირების სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა XXVI ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ **ტალი-პეტროსიანი, კერესი-ბენკო, გლიგორიჩი-სმისლოვი** და **ფიშერი-ოლაფსონი.**

ყველა შეხვედრა აღინიშნა საინტერესო თამაშით. სიცილიურ დაცვაში, რომელიც **პეტროსიანმა** გაითამაშა, **ტალმა** უკვე მე-12 სვლაზე მხედრის შეწირვით ძალზე გაართულა პოზიცია. **პეტროსიანი** ჩინებულად ეწეოდა დაცვას. ხელსაყრელ მომენტში სპასუხო კომბინაციით, მან გამუტხა მდგომარეობა და მუდმივი ქიშით 24-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია.

კერესი მეთოდურად ამზადებდა შეტევას **ბენკოს** პოზიციაზე. ძალთა მობილიზების შემდეგ მან სწრაფად დალაშქრა **ბენკოს** მეფე. გარდუვალი შამათის მუქარის გამო 23-ე სვლაზე **ბენკო** დანებდა.

მხოლოდ 19 სვლა გაგრძელდა **სმისლოვ-გლიგორიჩის** შეხვედრა. სმისლოვმა ზერელედ გაითამაშა ძველინდური დაცვა და სულ მალე მოექცა უიმედო პოზიციაში. **გლიგორიჩმა** დამაჯერებლად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

არ დამთავრებულა **ფიშერ-ოლაფსონის** პარტია, რომელიც გადაიდო ჰაბუკ ამერიკელისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

უკანასკნელ საათს

დღეს XXVII ტურის შეხვედრებში ბრძოლა უკიდურესობამდე იყო დაძაბული. ამიტომ არცერთი პარტია არ დამთავრებულა.

ფიშერ-ტალის შეხვედრაში სიცილიური დაცვა გათამაშდა. დებიუტში ტალმა მიმართა მეტად გაბედულ გაგრძელებას, რითაც **ფიშერმა** კარგად ისარგებლა და საგრძნობი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. მაგრამ **ტალმა** გონებამახვილური გზით შეძლო თამამის გაფრვება. მაშინ **